საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.ქობულეთი

8 ივნისი 2010 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-36[1]

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე სესხის აღების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში, ქ. ქობულეთში მეგობრობის ქუჩაზე სანიაღვრე კანალიზაციის სარეაბილიტაციო და სატუმბო სადგურის სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით მიიღოს 975.002.64 (ცხრაას სამოცდათხუთმეტი ათას ორი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარის დაფინანსება სადაც 20 % არის თანადაფინანსება 195.000.53 (ასოთხმოცდათხუთმეტი ათასი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) მუნიციპალიტეტის მხრიდან, 50 % არის კრედიტი ათი წლის ვადით 487.501.32 (ოთხას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთას ერთი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი) წლიური 12 % განაკვეთით და 30 % არის გრანტი 292.500.79 (ორას ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასი ლარი და სამოცდა ცხრამეტი თეთრი).
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიენიჭოს ქ.ქობულეთში მეგობრობის ქუჩაზე სანიაღვრე კანალიზაციის სარეაბილიტაციო და სატუმბო სადგურის სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით სესხის აღების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ. ჯინჭარაძე);
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს.ტაკიძე